

## საქართველო - პროექტი “ზრდა” საქართველოში (“ზრდა”)

მოთხოვნა საგრანტო განაცხადზე # 021-4004A-002(00)-S-2017

### ინსტრუქცია

საგრანტო კონკურსზე განაცხადის წარდგენა მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებლის პასუხისმგებლობაა. საგრანტო დაფინანსების მისაღებად განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მითითებულ მინიმალურ მოთხოვნებს და ასევე უნდა შეფასდეს მინიმუმ 70 ქულით. საგრანტო კომისია შეაფასებს მიღებულ განაცხადებს და დააფინანსებს მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

დაინტერესებულმა პირებმა საგრანტო განაცხადი უნდა წარადგინონ ქართულ ენაზე, არა უგვიანეს 24 ივლისისა (17:00 საათი) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge).

საგრანტო განაცხადთან ერთად, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. საწარმოს/კოოპერატივის რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. მინიმუმ სამი რეკომენდატორის მონაცემები (სახელი, პოზიცია, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი).
4. ხელმოწერილი სერთიფიკატები (დანართი #4, #5)

საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება პროექტის „ზრდა“ რეგიონულ ოფისებში 14 ივლისს 15:00 საათზე შემდეგ მისამართებზე:

**გორის ოფისი:**

სტალინის ქ. N 27/1

**ახალციხის ოფისი:**

ქ. ახალციხე, გვარამაძის ქ. N 21

**მარნეულის ოფისი:**

ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N 48

**ზუგდიდის ოფისი:**

ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N 3

**თბილისის ოფისი:**

ნ. რამიშვილის ქ. N 6ა.

განმცხადებლებს ვთხოვთ, გამოიყენონ განაცხადის მოცემული ფორმატი. ყველა გვერდი თანმიმდევრულად უნდა იყოს დანომრილი. ყველა დანართი გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული და მითითებული განაცხადის ძირითად ნაწილში.

გთხოვთ საგრანტო განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებით ყველა კითხვით დაუკავშირდეთ “ზრდა” პროექტის გრანტების ჯგუფს ელ. მისმართზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge).

## I. “ზრდა” პროექტის ზოგადი აღწერა და მიზნები

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტი “ზრდა” არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას სამიზნე რეგიონებში - შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, პანკისის ხეობა, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო და მცხეთა-მთიანეთი.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით.

პროექტი მოიცავს ადმინისტრაციულ საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებს.

## II. საგრანტო პროექტის აღწერილობა

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „ზრდა“ აცხადებს საგრანტო კონკურსს მეფუტკრეობის/თაფლის წარმოებაში ჩართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერთა კავშირებისა და ინდივიდუალური მეფუტკრეებისთვის.

საგრანტო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს „ზრდა“ პროექტის სამიზნე რეგიონებში არსებულ მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის გაფართოებას, საფუტკრე მურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, გამრავალფეროვნებას და წარმოების ზრდას.

USAID / „ზრდა“ პროექტი საგრანტო პროგრამის მონაწილეებს შეარჩევს შემდეგი პრინციპით:

1. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც საქმიანობას ეწევა „ზრდა“ პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში/თემებში საქართველოს ხუთ რეგიონში (სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და ) და მონაწილეობა აქვს მიღებული სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ მეფუტკრეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში;
2. ფერმერები (ფერმერთა კავშირები/გაერთიანებები), რომლებიც მონაწილეობენ სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (დევნილთა და განსახლების სამინისტრო) მიერ განხორციელებულ პროგრამაში „თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობები დევნილთათვის“;

3. რიგ შემთხვევებში, პროექტი ითანამშრომლებს ინდივიდუალურ მეფუტკრეებთან/ მეფუტკრეთა გაერთიანებებთან, რომლებსაც განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

**შენიშვნა:** საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა გრანტის მიმღების ფინანსური თანამონაწილეობა შემოთავაზებული აღჭურვილობის შესაძენად.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული აღჭურვილობის ფასები და ფინანსური თანამონაწილეობის პროცენტები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში პროექტი „ზრდა“ დაინტერესებულ მეფუტკრეობის კოოპერატივებს/ფერმერთა კავშირებს/ინდივიდუალურ ფერმერებს სთავაზობს შემდეგი სახის აღჭურვილობის შეძენას თანადაფინანსების პრინციპით:

საგრანტო პაკეტი	აღჭურვილობა და ტრენინგი	ბიუჯეტი	„ზრდა“ს ფინანსური თანამონაწილეობა	კოოპერატივის ფინანსური თანამონაწილეობა
1. აღჭურვილობა ფუტკრის რძის წარმოებისთვის	სამყნობი ფითხი (10 ცალი)			
	სამყნობი ჯამები (1000 ცალი)			
	ჩარჩოები (24 ცალი)			
	მჟაუნმჟავას ამორთქლებელი ხელსაწყო ვაროა ტკიპას საწინააღმდეგოდ (1 ცალი)			
	ფუტკრის რძის ამოსაღები კოვზები (10 ცალი)			
	სამდლიანი ტრენინგი ფუტკრის რძის წარმოების საკითხებზე			
სულ (სავარაუდო ბიუჯეტი პირველი მიმართულებისათვის არის 1,500 ლარი, კოოპერატივის მხრიდან თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს მთლიანი ბიუჯეტის არანაკლებ 20%):				
2. აღჭურვილობა დედა ფუტკრის გამოსაყვანად	სამყნობი ფითხი (10 ცალი)			
	ნუკლეოსის სკები დედა ფუტკრების დასაწყვილებლად (30 ცალი)			

	მუაუნმუავას ამართლებელი ხელსაწყო ვაროა ტკიპას საწინააღმდეგოდ (1 ცალი)			
	სამდლიანი ტრენინგი* დედა ფუტკრის გამოყვანის საკითხებზე			
სულ (სავარაუდო ბიუჯეტი მეორე მიმართულებისათვის არის 3,000 ლარი, კოოპერატივის მხრიდან თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს მთლიანი ბიუჯეტის არანაკლებ 20%): სულ:				
3. ლაფეტები სკების გადასაზიდად (აპლიკანტმა უნდა აირჩიოს გვერდითა სვეტში მოცემული ლაფეტის ვარიანტებიდან ერთ-ერთი)	ლაფეტი 24 სკის გადასატანად (სავარაუდო ბიუჯეტი ამ მოწყობილობისათვის არის 7,200 ლარი, საიდანაც თანამონაწილეობის თანხა უნდა იყოს არანაკლებ 40%)			
	ლაფეტი 36 სკის გადასატანად (სავარაუდო ბიუჯეტი ამ მოწყობილობისათვის არის 7,500 ლარი, საიდანაც თანამონაწილეობის თანხა უნდა იყოს არანაკლებ 40%)			
	ლაფეტი 48 სკის გადასატანად (სავარაუდო ბიუჯეტი ამ მოწყობილობისათვის არის 7,800 ლარი, საიდანაც თანამონაწილეობის თანხა უნდა იყოს არანაკლებ 40%)			
	ლაფეტი 48 სკის გადასატანად (ლაფეტი შედგება ერთ საშიზე			

	<p>მოწყობილი ორი დამოუკიდებელი 24+24 სექციისაგან - სავარაუდო ბიუჯეტი ამ მოწყობილობისათვის არის 11, 000 ლარი, საიდანაც თანამონაწილეობის თანხა უნდა იყოს არანაკლებ 40%)</p>			
<p>4. თაფლის ჩამოსასხმელი მინი ხაზი</p>	<p>თაფლის ჩამოსასხმელი მინი ხაზი (სავარაუდო ბიუჯეტის მეოთხე მიმართულებისათვის არის 4,000 ლარი საიდანაც თანამონაწილეობის თანხა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 40%)</p>			

**შენიშვნა:** დაინტერესებულ პირებს განაცხადის შემოტანა შეუძლიათ ერთი ან რამდენიმე აღჭურვილობის შექმნაზე.

გრანტის მიმღები კოოპერატივე/ფერმერთა კავშირი/ინდივიდუალური ფერმერი ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი პირობების შესრულება:

- წარმოადგინოს არსებული საწარმოს/ფერმის/კოოპერატივის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- წარმოადგინოს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ მეფუტრეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში და/ან სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (დევნილთა და განსახლების სამინისტრო) მიერ განხორციელებულ პროგრამაში „თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობები დევნილთათვის“ მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წარმოადგინოს ფულადი თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი ბანკიდან);

**გ. შეფასების კრიტერიუმები (მაქსიმალური ქულა: 100 ქულა)**

განმცხადებლების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით. განაცხადის ფორმაში მოცემულია თითოეული სექციის დეტალური აღწერა.

შეფასების კატეგორია	ქულა (სულ 100)
<b>1. ტექნიკური წინადადებაგანაცხადის შესაბამისობა</b>	<b>10</b>
კარგად ჩამოყალიბებული საგრანტო წინადადება, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს მოთხოვნებთან	10
<b>2. შედეგი და მდგრადობა</b>	<b>30</b>
აღწერა, თუ რამდენად მდგრადია წარმოდგენილი საგრანტო პროექტი	10
მიზნობრივი ბაზრის კარგი ცოდნა და საგრანტო პროექტის დეტალური აღწერა	10
ბენეფიციართა/მოსარგებლეთა სავარაუდო რაოდენობა	10
<b>3. წარსული გამოცდილება და საწარმოო პოტენციალი</b>	<b>20</b>
გამოცდილება მეფუტრეობის/თაფლის წარმოების სფეროში	20
<b>4. ფინანსური თანამონაწილეობა</b>	<b>40</b>
საგრანტო კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი ფინანსური თანამონაწილეობა	40

**დანართი 1**

პროექტის მოკლე აღწერილობა

**დანართი 2**

მოთხოვნილი აღჭურვილობა და ფინანსური თანამონაწილეობა

**დანართი 3**

წარმოადგინეთ გასული წლის და სავარაუდო მოგება–ზარალის უწყისი მომდევნო ორი წლისათვის, მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების ფარგლებში.

**ფინანსური ანგარიშების და დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ ჩაითვლება სრულყოფილად**

#### **დანართი 4**

სპეციალური პირობა ფედერალური დახმარების გაწევასთან დაკავშირებით

#### **დანართი 5**

სპეციალური პირობა გადაუხდელი გადასახადების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით